საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4345
10/08/2022

4345-21-2-202208101658

ი/მ გოდერძი მათიაშვილს
მის: ყვარლის მუნიციპალიტეტი სოფ. ჭიკაანი
ელ. ფოსტა: garemo.telavi@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3543 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭიკაანში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართ სადგურზე განთავსებულია ორი ერთეული რეზერვუარი, რომელთაგან თითოეულის მოცულობა შეადგენს 15 m^3-ს (ჯამურად 30 m^3). ამასთან, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მიმდინარე წლის 4 აპრილს განხორციელებული დათვალიერების შედეგების მიხედვით, ავტოგასამართი სადგური ფუნქციონირებს 2014 წლიდან. აღნიშნული ობიექტი 2021 წლის თებერვლიდან გადავიდა ი/მ გოდერძი მათიაშვილის საკუთრებაში, თუმცა ექსპლუატაციამდე განხორციელდა რეკონსტრუქციული სამუშაოები, კერძოდ, შეიცვალა ჩამსხმელი აპარატი (2 პისტოლეტი - ბენზინისა და დიზელისთვის). ასევე, ავტოგასამართ სადგურზე 2022 წელს განხორციელდა საწვავის შესანახი რეზერვუარების შეცვლა და ძველი 3 m^3 და 5 m^3 მქონე რეზერვუარების ნაცვლად, განთავსდა ორი ერთეული 22 m^3 მოცულობის რეზერვუარი. შესაბამისად, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს რეზერვუარების მოცულობები;
- დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ტერიტორიაზე ნარეცხი წყლების შესაკრებად მოეწყობა მიწისქვეშა რეზერვუარი (ბეტონის ან ლითონის), რომლის მოცულობა იქნება არანაკლებ 200 ლიტრი. დაზუსტებას საჭიროებს რეზერვუარის ტიპი და აღნიშნული რეზერვუარის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების პროცესში ექსკავირებული გრუნტის სტატუსი და შემდგომი მართვის საკითხი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო